№ 173 მარიამობისთვე 15, სამშაბათი 1889 მარიამობისთვე 15, სამშაბათი № 173

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ს. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 მარიამობისთვეს.

## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ. ნ. მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

„ტფილისის სობრანია"

სამშაბათს, 15 მარიამობისთვეს, დანიშნულია

ქართული წარმოდგენა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, მელიქოვისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი 9 საათზე

სამშაბათს, 15 მკათათვეს,

ნ. პ. ლორთქიფანიძის

ტრამვაის როტონდაში

გამართული იქნება არა-ჩვეულებრივი სახალხო სეირნობა,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი ჯამბაზები ანნატოს გვარისა.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს ჟორდანიას, ლოლაძეს და გორტანსკის მიუღიათ ჯილდოები: პირველს ორს — წმ. სტანისლავის ორდენი მესამე ხარისხისა და მესამეს-კი — წმ. ანნა მესამე ხარისხისავე.

*** გუშინ, მარიამობისთვის 14, დილის რვა საათზე, ბაზაზხანის ახლოს პოლიციის მოხელემ ი. პონამარიოვმა შეამჩნია, რომ მუშას მოჰქონდა რაღაცა საპალნე, და როცა დააყენა მუშა და გახსნეა საპალნე, შიგ აღმოაჩინა კონტრაბანდის ჩაი 2 ფუთი და 30 გირვანქა. მუშა გაიქცა და დაიმალა. არ იციან, ვისია ეს ჩაი.

*** შაბათს, ამ თვეისს 12, შვეიცარიის ბაღში, რომელიც მიხეილის ქუჩაზეა, მუშტაიდს ახლოს, შესულა ვიღაც კაცი პურის საჭმელად. პურის ჭამის დროს თავის ამხანაგებს შესჩიოდა თურმე თავის სიღარიბესა და უსაქმობას. შემდეგ წავიდა ცოტა მოშორებით, ამოიღო ჯიბიდგან რევოლვერი და დაიცა მარცხენა გვერდში ძუძუს ქვემოდ. დაჭრილი მაშინვე პოლიციამ გაგზავნა ქალაქის მიხეილის საავადმყოფოში და აღმოჩნდა ვიღაც ქოზეფ ბერტიერი, საფრანგეთის ქვეშევრდომი. მორჩენის იმედი აღარა აქვთ.

*** შაბათს, მარიამობისთვის 12, ჩამობრძანდა ტფილისს მარტყოფის წმ. ანტონის მონასტრიდგან მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი პალადი.

*** დღეს, ამ თვეის 15, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, სიონის ტაძარში სწირავს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი პალადი მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ალექსანდრეს თანამწირველობითა და წირვისა და პარაკლისის შემდეგ სამღვდელოება ლიტანიით შემოუვლის ტაძარს.

*** ამ დღეებში ტფილისიდგან გაემგზავრა ქუთაისს მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსანდრე, სუხუმის ეპისკოპოსი, სადაც რამდენსამე დღეს დარჩება და შემდეგ სუხუმს წავა.

*** ამ სიცხეებში ტფილისს დაკეტილ ოთახში ძილი შეუძლებელია. გააღებ თუ არა ფანჯარას, მაშინვე ქურდები გესტუმრებიან. მაგალითად, პარასკევს ღამით ვიღაცა ქურდ ბაცაცები გადაპარულან ღია ფანჯრიდგან ეგნატე იოსელიანის სადგომში, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩაზეა (№ 28), და მოუპარავთ ტანისამოსი, ოქროს საათი, ვერცხლის საპაპიროსე და ფულად ცხრამეტი თუმანი. პოლიცია დაეძებს ამ ავაზაკებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენია.

*** ამ თვეის 21 დაიწყება ეგზამენები ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში. სწავლა-კი დაიწყება ენკენისთვის პირველს.

*** ქართულის თეატრის წარმოება, როგორც მკითხველებმაც უწყიან, ამ მომავალ სეზონისთვის ბ. ნმა ფორკატიმ იკისრა და სომხურის თეატრის ბედ-იღბლისა-კი ჯერ არა ისმის-რა. აგერ უკვე ორი წელიწადია, რაც სომხურის დრამატიულ დასის არტისტები სომხურის სცენის ფონდისთვის წარმოდგენებსა ჰმართავენ და ამ გზით უკვე სამასი თუმანი შეუგროვებიათ კიდეც. ჯერ აქამდე გადაწყვეტილი არა აქვთ, სომხურ არტისტებს მომავალ სეზონში ექნებათ სამუდამო ბინა, თუ არა. წარსულს კვირას კრება ჰქონიათ ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად და ამ კრებაზედ დასწრებიან, სხვათა შორის, ბ-ნნი მანთაშოვი, თ. ნაპოლეონ ამატუნი და ფითოევი. კრებაზედ გადაუწყვეტიათ, რომ დასის შესადგენ ხარჯად ხუთასი თუმანი მაინც არის საჭირო სულ უკანასკნელიო და მერმისს-კი ჩვენ დასს ვერ ვიყოლიებთ, რადგან ამდენი ფული ჯერ არა გვაქვს შეგროვებულიო. სომხურ არტისტებს საერთო თხოვნა მიურთმევიათ ამ კრებისათვის და უთხოვნიათ, რომ ის შეგროვილი სამასი თუმანი ჩვენ მოგვეცით და ჩვენ გავმართავთ ხოლმე წარმოდგენებსაო, მაგრამ უარი მიუღიათ. ამ გვარად, მომავალ სეზონში სომხურ არტისტებს სამუდამო ბინა არ ექნებათ და კვლავ ისევ ისე ორსა და სამს თთვეში ერთი წარმოდგენა უნდა ჰმართონ.

*** ქალაქში ხმა დადის, რომ ვარანცოვის ხიდებ შუა კუნძულზედ მყოფი მირზოევისეული მამული, ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში დაგირავებული, ამ ბანკისაგან უკვე შეისყიდა სიღნაღის მოქალაქემ მ. ნ. ფარსადანაშვილმა 210.000 მანათადაო. ბ-ნ ფარსადანაშვილს ამ ფულიდგან მცირეოდენი ეხლავე შეუტანია ბანკში და დანარჩენი თითონ უვალია ბანკისაგანვე.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ თვეის 5-ს, საღამოს ცხრა საათსა და ნახევარზე, ბაქოს რკინის გზაზე, ველახის სადგურის მახლობლად, შემდეგი უბედურება მომხდარა: გზის ოსტატს ჯეროვანად ვერ დაუხურავს ფიცრებით მტკვრის ხიდი და ზედ გაუშვიათ სამი ფურგუნი და ერთი დილიჟანი, ამიტომ ერთს ფურგუნს ბორბალი დაუცდა, ერთბაშად გვერდზე გადიხარა და მეფურგუნე თათარი შიგ მტკვარში გადაისროლა. ღამე იყო, არავინ მიჰშველებია და ან ვინ იპოვიდა საბრალოს.

*** ქუთაისი: ძმანი ჭილაძენი თავის წიგნისა და საწერლო კუთვნილებათა მაღაზიასთან ჰმართავენ სამუსიკო მაღაზიასაც, სადაც გაჰყიდიან სხვა და სხვა საკრავებს, სამუსიკო ნივთეულობას და ნოტებს. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნოა ქუთათელებისათვის, რადგან ქუთაისში დღემდე სამუსიკო მაღაზია სულ არ იყო და ეს პირველი მაღაზია იქნება.

გაზეთში ამას წინად ნათქვამი იყო, რომ ბარათაშვილის სალიტოგრაფიო ქვა, ალგეთში აღმოჩენილი, გაუსინჯავთ, მოსწონებიათ და ეს ქვა ტფილისის სამეურნეო გამოფენაზედ იქნებაო. როგორც შევიტყეთ, ძმათა ჭილაძეთაც აღმოუჩენიათ რიონის ნაპირას სალიტოგრაფიო ქვა და ეს ქვაც წარმოგზავნილი იქნება სამეურნეო გამოფენაზედ.

*** იქიდამვე: ჩვენს ქალაქში წარსულს კვირას ერთი უბედურება დატრიალდა. ღამე ერთს მეეტლეს ვიღაც ციმბირიდგან გამოქცეული ავაზაკი შეუვარდა ცხენის მოსაპარად, პატრონმა გაუგო და შეუძახა. ავაზაკმა დამბაჩა ესროლა და ისე მძიმედ დასჭრა, რომ ამბობენ ვეღარ იცოცხლებსო. დამბაჩის ხმაზედ გამოვარდა ამ მეეტლეს მეორე ამხანაგი, ავაზაკმა იმასაც ესროლა დამბაჩა, ისიც მძიმედ დასჭრა და გაიქცა. დღესაც ვერ მიუგნიათ ამ ავაზაკის კვალისთვის.

*** სოფ. ახალქალაქი: 10 ამ თთვი-

## ფელეტონი

### ჩემი ნატვრა

სხვა გვარ მომართა ჩემი ჭკვა,
სხვა ზნე მიმიცა სმენასა:
მეხვაშიადედ გავუხდე
ცა ქვეყნის ტანსა ყველასა.
არსნი ცა-ქვეყანისანი
სუ ჩემს გულს გაებჭობოდნენ;
საამიცანე რამენიც
ჩემს თვალს ვერ ემალებოდნენ;
გავხდე უებრო მმართველი
ქვეყნის ხელანჯისა რთულისა,
უმცდარი მასწავლებელი,
ექიმი ყველა წყლულისა...
მერე ამდენი მაცოცხლა,
იმდენი დამაცდევინა, —
ავი და კარგი განსჯილი
თავ-თავად დამაწერინა.
თუნდა ერთს წუთში ასრულდეს,
ერთის თვალის დაკილვასა,
გასქდეს მიწა და ჩავარდე,
ის გამიხდეს ლოგინადა!
არცავისა გთხოვთ ტირილსა,
არცავის დანანებასა:
წამის სინათლევ მირჩევნავ
ბნელაში უკვდავებასა.

ვაჟანა

1888 წ.

### სიტყვა იმერლებზე

მაშინ-როდესაც შორს გამჭვრეტელი ქალაქის გამგეობა ერევნიდგან და შორი-შორ ქვეყნებიდგან იწვევს მუშებს, რომ საზრდო უშოვნოს და თანაც მათის რიცხვით ტფილისი აავსოს, „ივერიაში" დაიბეჭდა ერთი სტატია, რომლის დედა-აზრი ის იყო, რომ „კარგი იქნება იმერლები ტფილისს მოშორდნენო". ეს წერილი ჩვენ რომელიმე სომხურ-გაზეთიდან ნათარგმნი გვეგონებოდა, თუ „წყალტუბელი" არა ყოფილიყო მოწერილი... ცხადია, რომ კეთილ-განზრახულობით არის დაწერილი ეს სტატია, მაგრამ იმავე დროს-კი საქმის შეუგნებლობა ეტყობა, და თუ იმერლების შესახებ შესცდება მსჯელობაში ისეთი კაცი, როგორიც არის ვ. წყალტუბელი, სხვებისაგან, სრულად გარეშეებისაგან, რაღად უნდა გვიკვირდეს იმერეთისა და იმერლების შესახებ უვიცობა?!. ამ გარემოებამ იძულებული მყო, რომ მეც ჩემი აზრი წამომეთქვა.

ამერ-ქართველებზე იმერ-ქართველები ერთი ოთხად მეტნი არიან. ადგილიც სივრცით მეტი უჭირავსთ, მაგრამ სრულიად განსხვავებულის თვისებისა: ზემოთ სულ მთებია და ქვემოდ უფრო ხშირად ჭაობები. ამის გამო სახნავ-სათესი მიწები ძალიან ცოტაა! მიწის სიძვირე იმდენზე მიაწევს, რომ თითო ქცევაში ლეჩხუმის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში მყიდველები აძლევენ 300—500 მანეთამდე. თვით ქუთაისის მაზრაშიაც, რიონის პირად ჭალებში, აძლევენ ქცევაში 100—200 მანეთამდე და დანარჩენი ზღვის პირად ადგილები-კი, ნოტიო და ჭაობიანი, თითქმის გამოსადეგნიც არ არიან. პური, მართალია, მოვა, მაგრამ ვის რათ უნდა, რომ გაფრინდება?! ღვინის სახსენებელიც აღარ არის და ლომი გაცეხვად არა ღირს; დარჩა მხოლოდ ერთად ერთი სიმინდი, ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი, მაგრამ ბევრი რომ მოიყვანეს, დღეს საზღვარს გარეთ იმისმა ფასმაც იკლო. ცხადია, ხალხმა სხვა გარეშე საშუალება უნდა გამოსძებნოს, რომ თავი ირჩინოს; და აი კიდეც გადის თავის სამშობლოდგან, მაგრამ სამუდამოდ-კი არა, როგორც ზოგიერთები ჰგონებენ; მხოლოდ დროებითად, რომ სხვაგან რამე შეიძინონ და კარგის ბარგით დაუბრუნდნენ თავისსავე ქვეყანას. ამ განზრახვით ქუთაისის გუბერნიას შორდება ყოველ წლობით არა ნაკლებ ოც-და-ათის ათასის სულისა. ცეცხლის გემები, რკინის გზის ლიანდაგ სადგურები, შავის ზღვის-პირეული ქალაქები, სხვა-და სხვა საზაფხულო აგარაკები და სხ. სულ პირ წმინდად მოდებულია იმერლობით. მარტო ამ ტფილის ქალაქში მათი რიცხვი თხუთმეტ ათასზე მეტია. ოთხმოცი სხვა-და-სხვა საქმე და მოხელეობა უჭირავსთ ხელში. ეს მუშები, რასაც-კი იშოვნიან და მოიგებენ თავ-დადებულის შრომით, მაშინვე ან აგზავნიან და ან თითონვე გადააქვთ სამშობლოში, რომ ადგილ-მამული შეიძინონ. მართალია, მამასისხლად უჯდებათ ეს შეძენა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან, და ეს მიზეზია, რომ იმერეთში, განსაკუთრებით ზემოთკენ, უმეტესობა თითქმის მესაკუთრეა. ამას გარდაც, როგორ შეეძლო იმერეთს ყოველ-წლიური სხვა-და-სხვა ხარჯ-გადასახადი ეტვირთა, თუ ეს გადახვეწილები არა ჰშველოდნენ? აქ უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამ გადმოსულებში ძვირად შეხვდებით დედისერთას!.. იმერეთში თითქმის რჯულათა აქვსთ გადაქცეული: ოჯახში იმდენი დარჩება, რამდენიც საჭიროა, რომ თავი გაართვას და მოუაროს თავისს სახლ-კარსა და ადგილ-მამულს, დანარჩენები-კი, როგორც შინ-მეტი, უნდა სხვაგან სადმე წავიდნენ მოსაგებად. ეს ჩვეულება სწორედ რომ მოსაწონი და საქებია!.. შეცდომა არ იქნება, რომ ამათ ურჩიოს ვინმემ: «სხვაგან ნუ ხართ! ისევ თქვენის ქვეყნისკენ დაბრუნდითო?» მერე რა უნდა ქნან, რომ დაბრუნდნენ? უსაქმურობის გამო ხომ უნდა ხელ-უკულმართობა დაიწყონ? შეძენის გარდაც, იმათ აქეთ იქით გადასვლა-გადმოსვლას ზნეობითი მხარეცა აქვს. ეს ისეთი სკოლა არის საკუთარის აღზრდისა, რომელსაც დღევანდელი წესზე დაყენებული სახალხო სკოლები ვერ შეედრება. რამდენი მაგალითია, რომ გადმოსულიყოს იმერელი, არაფრის მცოდნე და არაფრის მქონე, მაგრამ თავის მეცადინეობით წინ წაედგას ბიჯი: ჭკუა-გონება გაევითარებინოს, სამსახურში მიეღწიოს მაღალ ხარისხამდე, შეეძინოს ქონება, მერე დაბრუნებულიყოს სამშობლოშივე და, არა თუ მარტო თავისი შვილები, ნათესავებიც-კი გამოეზარდოს და დაეყენებინოს სწორ გზაზე. იმ-

სას აქ გაჰმართეს საცეკვაო სალამო და ლატარია-ალეგრი ახალქალაქის მომავალ წიგნთ-საკითხავის სასარგებლოდ და ორ თუმნამდე შემოსავალი დარჩა. ამ საქმისათვის დიდის მადლობის ღირსია კნეინა გაიანე იოსების ასული შერვაშიძისა, რომლის მეთაურობითაც გამართული იყო ლატარია, რომელმაც ბევრი ნივთი შემოსწირა სალატარიოდ და გულ-მოდგინედაც მოეკიდა საქმეს.

*** ქობულეთი: ხალხი მეტად გაჭირებულა ყოფაშია უხიდობის გამო, მდ. კინტრიშზე რამდენჯერმე გაუკეთებიათ ხიდი, მაგრამ ხანგრძლივი არ გამოდგა, წამოვიდოდა თუ არა წვიმა, ხიდსაც წაიღებდა წყალი. ნეტავი ამ ამბავს ყურადღება ათხოვონ და უფრო მკვიდრი ხიდი გაგვიკეთონ, თორემ, თქვენს მტერს, რა ყოფაშიაც ჩვენა ვართ.

*** იქიდამვე: წელს დაჟინებული წვიმები იყო ჩვენში. ამიტომ სიმინდის მოსავალი ნაკლები გვექნება. ვაშლიც ცოტაა გასაყიდი. ამ სახით მოკლებულნი ვართ ორს უმთავრესს წყაროს ჩვენის ცხოვრებისას. ამას ისიც დაურთეთ, რომ წელს ქურდობა და კაცის კვლა შეხშირდა.

*** ხულა (ზედა აჭარა): აჭარიდგან ბევრი ცნობა იბეჭდება ავაზაკობისა და ავკაცობის შესახებ. ბევრი კაცი მოუკლავეთ, საქონელი ბევრი წაულიათ ავაზაკებს, ქალებიც მოუტაცნიათ, გათხოვილი და გაუთხოვარი, მაგრამ დიდი ხანია ისეთი ავაზაკობა-კი არ გვინახავს, როგორიც მოლა-ლომან არხან-ოღლი გამოდგა, ის კაცი რომელსაც იუნკრის ჩინი და რამდენიმე ორდენი აქვს მთავრობისაგან ნაბოძები.

ამ ბოლო ხანებში, მოლა-ლომანი ისე გათამამდა, რომ რამდენსამე სოფელში სულ ერთიანად გაბატონდა და ხმის გამცემი არავინა ჰყავდა: ზოგს ჰკლავდა, ზოგს ჰლახავდა, ზოგს ჯარიმას ახდევინებდა, ხარებსა და ძროხებს სტაცებდა და ძარცვავდა საწყალ გლეხობას. დასასრულ გაკადნიერებულმა თავისის მოქმედებით თვით მთავრობის გამკლავებაც-კი მოინდომა და 29-ს მკათათვეს 15 კაცით, როგორც მოხსენებული იყო გაზეთში, თავს დაესხა სოფ. დანდალოს მახლობლად გზა-ტკეცილზე ხულოდგან მომავალ 5-ს ფეხოსან მილიციონერებს, რომელთაც მოლა-ლომანას ხელ ქვეითი ავაზაკი მიჰყავდათ ბათუმში, და გაანთავისუფლა იგი.

აგვისტოს 1-ს იმან დროებით მიატოვა თავისი სამთავრო და ახალის ადგილების შესაძენათ და თავისის სახელის გასაძლიერებლად გამოემართა 22-ის კაცით და ორის შვილით ზედა-აჭარის მაზრაში, სოფ. გოგინაურში. სრულიად უშიშრად და თამამად. ანკი რისა უნდა შეშინებოდა, როდესაც დარწმუნებული იყო რომ დაბა ხულა თითქმის 40 ვერსზეა დაშორებული სოფ. გოგინაურზე. მაზრის უფროსი ბ-ნი კანდელაკიც მთაზე ეგულებოდა.

2-ს აგვისტოს მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნ ვასილ დეკანოზოვისათვის ერთს გოგინაურელს გლეხს შეუტყობინებია, რომ მოლა ლომან-არხან-ოღლი თავის ამალით მობძანდა ჩვენს სოფელში, იქაურობას განაგებს და 2,000 მანეთსაც ხარკსა გვთხოვს გლეხებსაო. რასაკვირველია, ბ-ნ დეკანოზოვს იმავე წამს ერთ რომელიცა-ღა სოფლის სანდო მამასახლისისათვის ფიცხელი ბძანება მიუწერია, რომ იმავე ღამეს მალულად დაამზადოს რამდენიც შეუძლიან შეთოფიარაღებული კაცები და დაახვედროს შუახევის ფოსტაზე, რომელიც მდებარეობს ხულიდან 17—18 ვერსზე. თითონაც იმავ ღამეს წასულა და ფოსტაზე მზად დაჰხვედრია კაცები, ძველებურ, უბრალო თოფ-იარაღით აღჭურვილები. აქედგან გაუგზავნია 4 კაცი ჯაშუშად, რომ შეიტყონ ნამდვილად მოლლა-ლომანას იქ ყოფნა, ანუ ვის სახლში არის და რამდენი კაცი ჰყავს. იმავ ღამეს გათენებისას ასულა სოფ. დღვანში, რომელიც სოფ. გოგინაურიდან 5 ვერსზედ მდებარეობს, აქ თავისი ჯაშუშებისაგან შეუტყვია, რომ ავაზაკები ოთხ დასად არიან დაყოფილნი სხვადა-სხვა სახლშიო. თვით მოლა-ლომანი თავის ორი შვილით და 7 კაცით ორ სახლში ყოფილან დაბინავებულნი. დეკანოზოვს შეუკრავს გზები, რომ მიმსვლელ-მომსვლელი გააკაეონ, მიუმატებია კიდევ კაცები და 45-ოდე კაცით 3 აგვისტ. დილით 10 საათზედ თავს დასხმია ხსენებულ ავაზაკებს ორ სახლში, სადაც იმყოფებოდა თვით მოლა-ლომანიც. წარმოიდგინეთ იმათი თავ-ხედობა და შეუპოვრობა, რომ იმ დრომდე სძინებიათ ოთახში, ამ დროს გაღვიძებიათ და უნახავთ თავიანთი თავი განსაცდელში შეუქმნიათ ორივ მხრიდგან თოფების სროლა და რომ მეტი საშუალება აღარა ჰქონიათ, გამოცვივნულან გარეთ გასაქცევად. მოლა-ლომანის შვილისათვის ცოტა გაუკრავს ტყვიას ლოყაზედ და ძლივს გადარჩენილა, მხოლოდ იმის მხლებელთაგან სამი კაცი-კი დაუჭერიათ და დანარჩენნი გადახვეწილან. შეპყრობილთა შორის ერთი იგივეა, რომელიც მოლა-ლომანმა განათავისუფლა გზაზე მილიციონერებისაგან. მხოლოდ ის არის სამწუხარო, რომ ბ-ნ დეკანოზოვი როგორ მიენდო ძველს თოფებს, მაშინ-როდესაც მოლა-ლომანის ჯარი სულ ბერდანკებით იყო აღჭურვილი, და რატომ არ წაიყვანა როტა, რომელიც უსაქმოდ არის დაბა ხულაში.

*** შეცდომის გასწორება: „ივერიის" მე-172 №-ში, მეოთხე სვეტზე, მეოთხე ამბავს სათაურად შეცდომით აწერია დ. სურამი, უნდა იყოს დ. ხაშური, რადგანაც ყველა იქ ჩამოთვლილი ავაზაკობა ხაშურშია მომხდარი და არა სურამში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

საჯავახო (გურია). საჯავახოს ხევი წარმოადგენს ერთს არა-ვრცელს, მაგრამ მეტად კოხტად აშენებულსა და შეზავებულს ველს. შუა ამ ველს ჩამოუდის პატარა მდინარე „ხევის-წყალა", რომლის ორთავ ნაპირებს ჭალები მისდევს მთელს თავის სიგრძეზედ. ეს ჭალები თანდათან მაღლდება და ბოლოს მიებჯინება ძირში ძნებს, რომლითაც ყოველის მხრივ შემოზღუდულია ეს ველი. რომელ მთიდამაც უნდა გადახედო საჯავახოს ველს, ყველა მხრიდგან სასიამოვნო სურათი წარმოგიდგებათ თვალ-წინ. თვალისთვის ლამაზი ველი არც ბუნების სიმდიდრეს არის მოკლებული: ნოყიერი და დაულალავი ნიადაგი აქვს, სალი და უზადო ჰავა; ძნების ძირებიდამ გამოსჩქებს მრავალი ცივი წყარო და მიემართება ველის შუა-გულისაკენ. შუა ველზედ მიწის გულიდგან ამოჩუხჩუხებს სამკურნალო წყალი-აბანო, რომელიც შემოქვითკრულია და რომელსაც გვერდით უდგას ქვითკირისავე შენობა საბანაოდ მოსულ ხალხისთვის თავ-შესაფარად. ამ აბანოდგან რამდენისამე ნაბიჯის გადადგმაზე ტრიალ მინდორზედ, აბურთულა წყლის მრგვალ ბუშტის მაგვარად გორაკი, რომელსაც ხალხი თამარის გორაკს უწოდებს, ერთხელაო, ამბობს ძველი გარდმოცემა: დიდებულმა დედოფალმა დაამარცხა ოსმალნი და უკან დაბრუნებულმა დასცა თავისი ბანაკი ამ ადგილას, სადაც ეხლა ეს კვერნაკია და მაშინ-კი მინდორი იყოვო. ამ მინდორზედ ჯარმა ფეხები დაიწმინდა ტალახისაგან და ეს გორაკი გაკეთდაო. მართლადაც ხელით გაკეთებულს უფრო წააგავს იგი, ვიდრე ბუნებურსა. საჯავახოს ბუნება ღვინის მოსავალსაც ხელს უწყობს, ასე რომ დაწყურებული და ღვინოს დანატრებული გურული თუმცა გასძახის:

ჭაი, ჭაი, მადლობა ღმერთო,
თუ რა ჟამი შემოგვესწრო!
არვინ სჩანს ის მოსუცი,
რომ ახსოვდეს იმას ეს დრო:
ღვინო მუდამ ბევრი გვქონდა,
ასი კაციც რომ დაგვეთრო.
ახლა რა ვსვათ, რომ არა გვაქვს,
ანუ სტუმარს რა გავხვდრო?

მაგრამ კიდევ მოდის ძველებური, ჩვენებური ღვინო: ჯანისა, რცხილანონბნისა, ჩხავერისა და სხვანი, რომელსაც კახურიც ვერ დაჰკრავს.

საჯავახოს ველზე ყოველ წლობით, 29 თიბათვისას, თავ. ვარ ერისთავის მიწაზედ იმართება ბაზრობა პეტრე პავლობა დღეს. ბაზრობა ათ დღეს გრძელდება და დიდ-ძალი ვაჭრობა იყრის თავს. მუშტარი ხომ გურია-სამეგრელოდგან ჭიანჭველასავით მოეშურება და მოაქვს თავისი ნაწარმოები. ბევრის მხრით არის ეს ბაზრობა შესანიშნავი, მაგრამ ისე არაფერი იზიდავს აქ თქვენს ყურადღებას, როგორც აბრეშუმი და აბრეშუმეულობა. წარსულს წელს 175 ფუთზე მეტი ამოხვეული აბრეშუმი გაიყიდა აქ და ფასიც კარგი ჰქონდა. 13 მანეთად იყიდებოდა ოყა (სამი გირვანქა). შარშანდელმა ასეთმა კარგმა ფასმა ისე წააქალისა მწარმოებლები, რომ წელს 200 ფუთს გადასცილდა ამ ბაზრობაში გაყიდული აბრეშუმი და ღირსებითაც კარგი იყო. ეგრედ წოდებულ „მასწავლებლების" აბრეშუმის სიკეთე ხომ საანდაზოდაც გახდა. „ასე ძვირად რომ აფასებ, დედი, აბრეშუმს, ეუბნება სოფლელ მეაბრეშუმე ქალს მყიდველი სომეხი, ან ებრაელი: «მასწავლებლების» აბრეშუმი ხომ არ გგონია შენი საქონელიო». საქმე ის გახლავთ, რომ ამ ბოლოს დროს სოფლის მასწავლებლებს მოჰყავთ შეგირდების დახმარებით აბრეშუმი „ცელულიარულის" თესლისა და კარგადაც მოჰყავთ პარკად. მხოლოდ ნაკლი ედება იმას ამოღების დროს, რადგანაც ამისთვის ძველს წესს ხმარობენ. აქვე ვისურვებ, რომ რამდენმამე სოფელმა მალე გამართოს საზიაროდ აბრეშუმის სადგები „ფეჩები", როგორც სხვა ქვეყნებშია.

დიაღ, დიდ-ძალი აბრეშუმი გამოვიდა წელს „პეტრე-პავლობაში", მაგრამ ფასი ჩალისა ჰქონდა: ექვს აბაზად ქსანი იყიდებოდა (ოთხი ქსანი ერთი ოყაა) სოფლისა და ორ მანეთად მასწავლებლებისა. ამ გარემოებამ გული დასწყვიტა მწარმოებლებს და ხშირად გაიგონებდით: „აწი ღმერთმა დაგვითაროს, რომ ერთი ბოზოლი ყაჭი დავისვა. თუ ვაკეთებთ უფრო მა ჩასალუპავ ბაზარშიაც არ გამოვიტან, ისევ შინ მოვქსოვო".

მართლაც, აბრეშუმის ნივთებს მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე აბრეშუმს. მშვენიერად მოქსოვილი დარაია მყიდველის თვალს იტაცებდა, შარფები, თავშლები, ხელსახოცები და სხ., ერთი-მეორეზედ გადაბმული,

---

ეიათია იმისთანა იმერელი, რომ სხვას ემსახურებოდეს და იმავე დროს კიდეც არა სწავლობდეს. ტფილისში მყოფ იმერელს ძვირათ ჰნახავთ, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. რამდენი მაგალითი ვიცით, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ჩამოსული იმერელი, რომელმაც მაშინ არა იცოდა-რა, დღეს გონება განვითარებულია და დიახ საგულისხმოდაცა სწერს. ესეები ყველა ისე ცხადია და სათვალდათვალო, რომ იჭვის აღება ძნელია და თითონ წყალტუბელიც ამას უარს ვერა ჰყოფს!.. ის მხოლოდ გულ-მტკივნეულად იმას ამბობს, რომ „ქალაქში იმერლები ირყვნებიან და სახელიც გაუტყდათო". ერთის თვალ-გადავლებით ეს თითქოს მართალი უნდა იყოს, მაგრამ თუ მუშტრის თვალით დავაკვირდებით ამ მოვლენას და კარგად და საფუძვლიანად გამოვიკვლევთ, გამოდგება, რომ აქაც შემცდარია უწყალტუბელი და მასთან ერთად ისიც, ვინც იმის თანახმად ჰფიქრობს!.. ნათქვამია: „ავი უკარგოდ არ გაგონილა და კარგი უავოდაო". ქვეყანაში ავიც არის და კარგიც. თუ-კი ღვთისაგან არჩეულ თორმეტ მოციქულში ერთი იუდა გამოერია, თორმეტ ათას ტფილისელ იმერლებშიაც რამდენიმე საძაგელი რომ გამოერიოს, რა გასაკვირველი და წინააღმდეგი იქნება ცხოვრების კანონისა? ნუ თუ მდაბიო იმერლებში ურევია ცუდი და დანარჩენის რჯულის ხალხი, რაც-კი ტფილისშია, სულ ანგელოზები ჰბრძანდებიან? აბა ერთი კარგად გაიგეთ, რას სჩადიან «იანცები», ოღლები, ოვები და სხ. რატომ იმათზე არავინ იღებს ხმას! რაღა მარტო იმერლები აულიათ ყბად? მაგრამ მერცხლისა და ჭივჭავის ამბავია!..

ნათქვამია: „გარეულმა კატამ შინაური გააგდოო". ვინ იტყვის, რომ ამდენს იმერლებში მართლა ცუდებიც არ ერიოს? მაგრამ ეს ხომ ყველას არ შეეხება და უმეტესობა-კი ჩინებულია. ის გაფუჭებული მცირე გუნდიც, რომელზედაც გული შესტკივა წყალტუბელს, იმერეთიდგან-კი არ ჩამოდიან გაფუჭებულები, აქ, ქალაქში, ირყვნებიან და, თუ პატრონი და ყურის მგდებელი გამოუჩნდათ, აღარ იქნებიან ისეთები. ჩვენი ნიჭიერი მწერალი ეკატერინე გაბაშვილისა ერთს მოთხრობაში გვიხატავს იმ ბოროტს, რომლის წყალობითაც აქ ზოგიერთი იმერელი ილუპება, მაგრამ ყურადღება-კი არავინ მიაქცია, მაშინ-როდესაც ამ საქმეზე გულგრილობა არ ეპატიება მოწინავე დასს. ზოგიერთი გაიძვერა პირები მიდიან იმერეთში დ იქიდგან, თუ მოტყუებითა და გაბრიყვებით და თუ მოპარვით, ჩამოჰყავთ ტფილისში პატარა ბიჭები და აქა-იქ ქალაქელ აღებთან ჯამაგირში აყენებენ... ვითომ... მაგრამ იმ საცოდავებმა არ იციან, საცა არიან და ვისთან? უგზო-უკვლონი, უპატრონონი, სწორედ ტყვედ ვარდებიან აღების ხელში. ბევრჯელ იმათ ჭირისუფლებს ის დაკარგული ბავშვები მკვდარი ჰგონიათ ხოლმე. რამდენი მაგალითი ყოფილა, რომ გამოეტიროთ, გამოეგლოვოთ კიდეც და მერე, რამდენისამე წლის შემდეგ, ისევ გამოჩენილიყვნენ რომელისამე უსინიდისოს ხელში?!. ამ პატარა, უპატრონო მსხვერპლებს რა ემართებათ აქ ტფილისში? ზოგი ვერ იტანს ტანჯვასა და ჯაფას და ჰკვდება და დანარჩენები-კი ირყვნებიან, და აი ესენი გახლავან ისინი, რომელნიც მთელს იმერლობას ჩირქსა სდებენ.

ეს გარემოება დიდი ხანია აღელვებს იმერლობას, მაგრამ სად არის გასავალი? აგერ ათი წელიწადია ვარს გვეხვევიან ათასობით, რომ გვიშველეთ რამეო!.. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ კეთილი საზოგადოდ ყველგან მიჩოჩავს ნელ-ნელა და ბოროტი-კი მიკუნტრუშებს... სწორედ ამ განზრახვით უნდოდათ შეედგინათ საზოგადოება და გაეხსნათ კანტორა. დედა-აზრი იმათის წესდებისა აი რა იყო: იმათ, არა თუ ერთმანეთის ამბავი, მთელის ტფილისის საიდუმლოებაც ხელის გულზე უწერიათ, რადგანაც, სადაც რა მოხდება, ერთმანეთს გადასცემენ ხოლმე. იმათ უნდოდათ, რომ წევრებად მიეღოთ მხოლოდ რიგიანებიდა ისინი-კი, რომელთაც სახელი გასტეხიათ, ან ჯერ არ გასტეხიათ, მაგრამ ურიგონი-კი არიან, არ მიეღოთ თავის წრეში. მათი კანტორა იქნებოდა თითქმის პასუხის-მგებელი, როდესაც იქიდგან მოსამსახურეებს დაიჭერდნენ და სხ... ამ გვარად ისინი, რომელთაც არც ბაშთოროთი აქვსთ, არც საქმე, და მხოლოდ ხელ-უკუღმართობით ირჩენენ თავს, გამოაშკარავდებოდნენ და იმათი ბევრი უწესოება მოისპობოდა ტფილისში.

ამ გვარი საზოგადოება, რასაკვირველია, ყველას უნდა მოსწონებოდა და სწორედ ასეც ვფიქრობდით, როდესაც წესდება შევადგინეთ და წარვუდგინეთ მთავრობას. მთავრობას, როგორც სჩანს, უარი არ უყვია, მხოლოდ გადასცა ზოგიერთ წვრილმან ხელ-ჯოხიანებს, რომ იმათ შეეტყოთ, მართლა სურთ ამ გვარის საზოგადოების შედგენა, თუ არაო? ეს მხოლოდ ფორმა იყო!.. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ იმ განდობილმა პირებმა ისეთი რამეები ურჩიეს მუქარით, რომ დააფრთხეს მსურველები და თუმცა ხელი სრულიად ვერ აალებინეს, მაგრამ შეაჩერეს-კი საქმე. თუ ეს საზოგადოება დამტკიცდა, ცხადია, რომ ტფილისში ბევრი რამ სიცუდე მოისპობა და მაშინ წვრილმან ხელ-ჯოხიანებს საქმე ნაკლებ ექნებათ.. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი-კი ისე იქცევიან და თავ გამოდებულნი არიან საწინააღმდეგოდ, თითქოს იმ დალოცვილებს საბალახე ეცლებოდეთ ხელიდგან.

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭრელებდა ბაზარს. მოსული ვაჭრები ცხელის ცრემლით სტიროდნენ, რომ სოფლელებზედ ვერაფერი ვერ გაასაღეს, ფული აღარ არის სოფელში, ფული, და რით ვიყიდოთო, იძახოდნენ წამ-და-უწუმ. ნეტაი «სტრაქას» გასასტუმრებელი მომცაო და ყიდვას ვინ ჩივაო.

საჯავახოს ველი მრავალ სოფლად არის დაყოფილი და რამდენსამე სამამასახლისოდ. მცხოვრებლებიც ყველა წოდებისანი არიან, უფრო ხომ გლეხ-კაცები. ამათ შორის ურევიან მაღალსა და საშუალო სასწავლებელში ნასწავლი კაცებიც, მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს: ამოდენი სოფლები, ამოდენა ხალხი თავის საკუთარს სკოლას მოკლებულია. გურიაში ყოველგან სკოლები იმართება, იქაც კი, სადაც მეტი სიღარიბეა და ნაკლები მცხოვრებლებია და აქ-კი „ყურზედ სძინავთ“. აქაური ნასწავლი კაცები საკუთარ კერპებს ემსახურებიან, სასოფლო არა ახსოვთ-რა. მერე რა ადვილია საჯავახოში, არამც თუ ერთ-კლასიანის სკოლის გამართვა, არამედ ორ-კლასიანისაც! აქაური მაზრის პატრონი, თავადი გარ. მ. ერისთავი, აძლევს მომავალ სკოლას 1870 წლიდგან მოყოლებული დღემდე ბაზრის შემოსავლიდგან წლიურად 30 მანეთს. ეს ფულები იმ ყოფება სხვა-და-სხვა ხელში შენახული და საქმის დაწყებისათანავე წარმოადგენენ ნამთავნით. იგივე თავადი წრეულს შესაწირავს. 30 მანეთს უთმობს სკოლას სამუდამოდ, აგრეთვე მიწას და, რამდენიც იქნება საჭირო, ხე-ტყესა და ქვას თავის მამულიდგან. განა მეტი შეწევნა-ღა იქნება? აგრეთვე ბ-ნნი იოსებ და დათიკო ძნელაძეები ათ-ათ თუმანს სწირევენ, ანტონ, ბესარიონ და ფილიპე ძნელაძეები ხუთ-ხუთ თუმანს ერთ ხნობით. ამას რომ სოფლელებმა ცოტაოდენი თავის ჯიბიდამაც დაამატონ, ორი მასწავლებელი ადვილად შეინახება. როდესაც ერთ ყრილობაზედ სოფლელებს საყვედური განვუცხადეთ უსკოლობისთვის, იმათ გვიპასუხეს: სკოლები გვაქვსო, და გასწიეს შინ. თურმე ნუ იტყვით — ორ-სამ კლასიან ყმაწვილებს ეკკლესიებთან ორ-ვეხა ფიცრებზედ დაუსვამთ ყმაწვილები და აძახებენ ან, ბან, უწოდებენ თავიანთს სკოლას სამრევლოს და ხალხსაც საქმე გაჩარხული ჰგონია, მაგრამ ამ უხეირო სკოლასაც ბოლო მოეღება. ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი გრიგოლი ეწვია საჯავახოს ეკკლესიებს დასათვალიერებლად 5 აგვისტოს და თითქმის ერთი კვირა მოანდომა საქმეების გასინჯვას აქაურს ექვსს ეკკლესიაში. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, მოგზაურობის დროს, საზოგადოდ გურიაში დიდ-ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს, სკოლების გამართვასა და ხეირიანად მოწყობას. ამიტომ ეკკლესია ისე არ გაუშვია, რომ ამ საგნის შესახებ სიტყვა არ წარმოეთქვას. ფერიცვალობა დღესაც საჯავახოს ერთს ეკკლესიაში წირვის შემდეგ დიდ ძალის ხალხის წინაშე წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელიც სწავლა-განათლების შესახების საუბრით დააბოლავა, სკოლა მაშინ არის ხეირიანიო, ბრძანა მან: როცა იქ ჰმოღვაწეობს კაცი მომზადებული თავის საქმისათვისაო. მასწავლებელია სკოლის სული და გული და არა შენობა და სასწავლო ნივთებიო. თქვენ, მართალია, სამრევლო სკოლები დაგიმართავთ და სულ არარაობას ეგეც სჯობს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ კარგი მასწავლებლები არა გყავთ. ამიტომ საჭიროა, რომ შეერთდეთ ყველანი ერთად და ერთს ალაგს გამართოთ ერთი ან ორი სამრევლო სკოლა. მერე მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, დაათვალიერა თვით სკოლები და მეტად უკმაყოფილო დარჩა ყმაწვილების მოუმზადებლობის გამო. იმედია ახლა მაინც შეისმენს ხალხი თავისთვის საკეთილო რჩევას და მალე შეუდგება საქმეს.

## სასამართლოს მატიანე

### სტავროპოლის ოლქის სასამართლო

(დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე)

(შემდეგი *)

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ ბ. ნმა თავმჯდომარემ ჩვეულებისამებრ ჰკითხა ბრალდებულს, სცნობ თუ არა თავს დამნაშავედაო, და პასუხად «არაო» მიიღო. სულ 29 კაცი იყო მოწმედ სასამართლოში დაბარებული, რომელთაგან ოთხი არ დაესწრო სხვა-და-სხვა მიზეზის გამო. აი მოწმეთა ჩვენებაც:

აგაფია ადრეევისა. ყიფიანის მოკვლის დროს ბროხნიცკისთან ვიყავ მოსამსახურედ, იქ, სადაც ყიფიანი სცხოვრობდა. ერთხელ დილის შვიდს საათზედ სამზარეულოში შემოვიდა ნომრებში მოსამსახურე გოგო ბროხნიცკისა ალექსანდრა გლადკოვისა, შედგა ცოტა ხანს, მერე ისევ გავიდა, ისევ შემოვიდა და გაკვირვებით მითხრა, რომ გენერალს ფანჯრები მოხურული აქვს, კარებიც ღია იყო და გამოვიხურე ჩუმადაო. ამ ლაპარაკს შემდეგ საშა სადღაც წავიდა. რამდენსამე ხანს შემდეგ ქალბატონის ხმა მოისმა, საშას ეძახოდა, რომ ყავა შეუტანეთ გენერალსაო. რადგან საშა არსადა სჩანდა, ყავა მეორე გოგომ შეიტანა—პელაგია სავჩენკოსამ. როცა პელაგია დაბრუნდა, მითხრა, რომ ყავა სასტუმრო ოთახში დავდგი, რადგან გენერალი არა სჩანს, ეტყობა ჯერ კიდევ სძინავსო. ცოტა ხანს შემდეგ პელაგიამ სთქვა, რომ გენერალი უნდა გავაღვიძოთო, და გავიდა სამზარეულოდგან. მერე კვლავ დაბრუნდა და განაცხადა, რომ მეშინიან გენერალი გავაღვიძოო, რადგან იმის ოთახში თეთრეული აქეთ-იქით არის მიყრილ-მოყრილიო. ამიტომ მე, მოსამსახურე ივანე და პელაგია ერთად წავედით და აი რა ვნახეთ: ფანჯრის ფარდები ჩამოშვებული იყო, გენერლის ტანისამოსი და თეთრეული აქოთებული. გენერალი იწვა, საბანი ეხურა, მაგრამ ფეხები-კი მიშვებული უჩანდა. ფეხები რიღაითიცა ჰქონია შეკრული და საზოგადოდ ზედ ეტყობოდა, რომ მკვდრის ფეხები იყო. დავუწყე ღვიძება გენერალს, მაგრამ რადგან არ გაიღვიძა, წავედი და ყველაფერი ქალბატონს შევატყობინე. ვუთხარი, რომ გენერალს ხელ-ფეხი შეკრული აქვს-მეთქი. ამაზედ ქალბატონმა წამოიძახა: „ახ, ღმერთო ჩემო! გენერალი მოუკლავთ, ჩვენს კაცებს მოუკლავთო“. არ ვიცი იკეტებოდა თუ არა გენერლის სადგომი, მაგრამ ის-კი კარგად მახსოვს, რომ ხანდახან ალექსანდრა გლადკოვისა ჰკეტავდა გარედგან. გენერალთან ყავას ყველას შეჰქონდა, ვინც-კი თავისუფალი იყო. შაბათს, მკვლელობის წინა დღეს, გენერალთან ვიღაც კაცი მოვიდა, ქერა თმები ჰქონდა, ნაჯარის-კავკასარსა ჰგავდა, შუატანისა იყო და სახე უფრო სრული ჰქონდა, ვიდრე დამნაშავესა აქვს. ეზოს ძაღლი „ზექტორი“ მკვლელობის რამდენისამე დღის წინად დაიკარგა და უბედურების მეორე თუ მესამე დღეზედ ისევ გამოჩნდა. მკვლელობის ღამეს რიჟრაჟისას დიდი ყეფა შემომესმა ძაღლის „ფანტიკისა“. იმ ღამეს ბნელი ღამე იყო. ეზოს გასაღები მეკარესა ჰქონდა. ამას გარდა ყველა მდგმურსაც თავ-თავისი გასაღები ჰქონდა. იოსებ ზყოსეკს ჩვეულებრივ მაგრად ეძინა ხოლმე და ამიტომ იმისი გონში ჩაგდება ძნელი იყო. 25 ოქტომბერს დილით-კი ხელი შევახე თუ არა საჯინიბოს დასაკეტ ჯაჭვს, ზყოსეკმა იკითხა: „ვინ არისო!“ იოსებ ზყოსეკისა და ალექსანდრა გლადკოვას დაახლოვება არ შემინიშნავს, ისინი მშვიდობიანი ხალხი იყვნენ, ჩემი. გენერალთან მოსულს კაცს სწორედ ისეთივე ნელი ხმა ჰქონდა, როგორიც ბრალდებულსა აქვს. პატარა ძაღლს „ფანტიკს“ ყოველთვის სამზარეულოში ეძინა და გლადკოვისა ძლიან უყვარდა. იმ ღამეს-კი, არ ვიცი რად, სამზარეულოში არა სძინებოდა. როცა გენერალი ავად იყო, გლადკოვისა იმისას იძინებდა ხოლმე. მკვლელობის მეორე ღამეს გლადკოვისამ მითხრა, რომ მე უნდა მეზრუნა გენერლისათვის და ჩემმა უყურადღებობამ დაჰმართა ეგ ამბავიო. იმ ღამეს გლადკოვისას ჩემთან ერთად ეძინა სამზარეულოში. დილაობით გენერალს არავინ აღვიძებდა, მაგრამ გაღვიძებისას კი იმისი სამსახური გლადკოვისას ჰქონდა მიჩემებული. ყიფიანის სიმდიდრისა არაფერი გამიგონია-რა ბროხნიცკისას და საზოგადოდ ამის შესახებ ლაპარაკს არას დავსწრებივარ. ბროხნიცკის მოსამსახურე გოგო პრასკოვია შულგინა ამ უბედურებამდე ერთის, თუ ორის კვირით ადრე გავიდა და წასვლისასა სთქვა, რომ ავადა ვარ და სამსახურს იმიტომ ვანებებ თავსაო.

პელაგია სავჩენკოსი. მკვლელობის დილას ალექსანდრა გლადკოვისა რამდენჯერმე შემოვიდა და გავიდა ბროხნიცკების სამზარეულოში და ბოლოს გვითხრა, რომ ყიფიანის სადგომის კარები სულ ღიააო. შემდეგ ისევ გავიდა, შემოვიდა და სთქვა, რომ მე გამოვხურე ფრთხილად ჯოხითაო. ამას შემდეგ გლადკოვისა სადღაც წავიდა და ქალბატონმა-კი ყავის შესატანად დაუძახა. რადგან თითონ არსადა სჩანდა, ყავა მე შევიტანე და სტოლზედ დავდგი. სასტუმრო ოთახში განსაკუთრებული არეულობა არა შემინიშნავს-რა და ამიტომ სამზარეულოშივე დავბრუნდი. პატარა ხანს უკან შემოვიდა გლადკოვისა და გენერლის ამბავი იკითხა. მე ვუპასუხე, რომ მგონი სძინავს და დროა გავაღვიძო-მეთქი. გლადკოვისა გავიდა სამზარეულოდგან, შემდეგ ისევ დაბრუნდა და გვითხრა, რომ გენერალთან შესვლისა მეშინიან, რადგან თეთრეული აქეთ-იქით არის მიყრილ-მოყრილიო. მე, მზარეული დედაკაცი და გლადკოვისა ერთად წავედით გენერლის სადგომისკენ. ეზოში იოსებ ზყოსეკი შეგვხვდა და ისიც თან გამოგვყვა. ყიფიანისას რომ შევედით, ანდრეევმა რამდენჯერმე ხმა გასცა, მაგრამ პასუხი რომ არა მოუვიდა-რა, საწოლ ოთახის კარები შეაღო. გენერალი საწოლზედ იწვა, თავზედ საბანი ეხურა და ფეხები-კი შიშველი უჩანდა და მკვდრისას უგავდა. ხელსახოცები აქეთ-იქით იყო ოთახში გაფანტული. მაშინვე შევატყობინეთ ეს ამბავი ბროხნიცკის და აღმოჩნდა, რომ გენერალი მოკლული იყო. ბროხნიცკის ძაღლი „ზექტორი“ მკვლელობის ღამეს ეზოში არა ყოფილა. როცა სახლში ხმა გავრცელდა, ყიფიანი მოკლესო, დავინახე, რომ მეკარე ანდრია და ზყოზეკი ყიფიანის ფანჯარასთან მიდგმულს ორს ქვასა სინჯავდნენ. ყიფიანთან ყავა გლადკოვისას შეჰქონდა და ხანდახან-კი მე, ან მზარეულს ანდრეევისას. შულგინისასაც შეეტანა როდისმე, თუ არა, არ ვიცი. მკვლელობის წინა დღეს ვიღაც კაცი მოვიდა და გენერალი იკითხა. მე მოვახსენე ყიფიანს და სამზარეულოში შევედი. იმ კაცს ბაცი მიხაკის ფერი პალტო ეცვა, ბაცი ქერა თმები ჰქონდა, ნელი ხმა, სრული სახე. მკვლელობის წინა ღამეს გლადკოვისას ჩემთან ეძინა, ადრე დაწვა, მაგრამ ის-კი არ ვიცი, ღამე ადგა და იყო სადმე, თუ არა. დილის ოთხს საათზედ პაწაწა ძაღლის ფანტიკის ყეფამ გამომაღვიძა. არ ვიცი, იმ ღამეს ფანტიკი სადა ყოფილიყო, რადგან ჩვეულებრივ სამზარეულოში არ იყო. ჩემის აზრით, საშა გლადკოვისას და იოსებ ზყოზეკს ერთმანეთი უნდა ჰყვარებოდათ, რადგან ზყოზეკი ეჭვიანობდა, სწყინდა, როცა საშას დაინახავდა ვისთანმე, ხშირად ეჩხუბებოდა და უსაყვედურებდა.

პრასკოვია ლეონტიევისა. მკვლელობის ღამეს ღამის თორმეტ საათის შემდეგ „ფანტიკის“ ყეფის ხმა შემომესმა. სად იყო იმ ღამეს დიდი ძაღლი „ზექტორი“, არ ვიცი. დილა ადრიანად, ესე ექვსი საათი იქნებოდა, მეკარე ანდრია დავუძახე და ბაზარში წავედით სავაჭროდ. ზყოზეკისა და გლადკოვისა ცუდი არა მინახავს-რა, ის-კი გაგონილი მაქვს მოსამსახურეებისაგან, რომ ერთმანეთთან დაახლოვებულნი არიანო. „ფანტიკი“ მინაურებს არ ერჩოდა, არა ჰყეფდა და თუ იმ ღამეს დაიყეფა, ალბად უცხო ვინმე თუ დაინახა ეზოში.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 168, 169, 170 და 172.

## წვრილი ამბები

პარიჟში უკვე განკარგულებაა თურმე მოხდენილი, რომ ბულანჟეს სურათების ყიდვა ყველგან აღიკრძალოსო. „Figaro“ სასაცილოდ იგდებს ამ განკარგულებას და მოჰყავს გენერლის აღწერა თავის ლონდონელის კორრესპონდენტისა: „გენერალი ბულანჟე დაბერებულა: თმები გასთეთრებია, სახე შესჭმუხვნია, საფეთქლები ჩასცვივნია, თუმცა-კი შეხედულობით ისევ ის არის, რაც გინახავთ. ეს კეთილი კაცი თავის მომხრეებისათვის და ცბიერი, ყალბი—მტრებისა რაღაც გამოურკვეველი რამ ადამიანია იმისთვის, ვინც არც მტერია ამ კაცისა და არც მოყვარე. ხელებს ეხლა უფრო სუფთად ინახავს, ვიდრე ინახავდა მაშინ, როცა სამინისტროში იყო; ფრჩხილები დაკბნეტილი აღარა აქვს. სახე მშვიდობიანად უჭირავს და მხოლოდ მაშინ უცხოველდება, როცა მინისტრებზე დაიწყებს ხოლმე ლაპარაკს. მაშინ-კი ისეთი ღიმი გამოუკრთება ხოლმე სახეზედ, რომელიც სიკეთეს არავის დააყრის. კარნოს დიდის სიძულილითა და ზიზღით ახსენებს. აქ უფრო უკეთ იცვამს და ირთვება: შავი ჟაკეტკა აცვია, შავი შარვალი და მუქი ყელსახვევი ახვევია. გულზედ მოკლე და სადა ძეწკვი აგდია, ინდოეთის ოქროსაგან გაკეთებული. გენერალი თითქო უფრო ჭკვა-დამჯდარი კაცი შექმნილა. წამოდგომისას ჩვეულებრივ გამოთხოვების ნიშნად ხელი დამიქნია, ხელი რომელზედაც წითელ-თვალიანმა ბეჭედმა გაიელვა, და მითხრა: „ნახვამდის. გადაეცით ჩემს მეგობრებს, რომ არა უგვიანეს სამის თვისა პარიჟში ვიქნებიო“. მე, რასაკვირველია, იმის მეგობრებისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ იმის დაბეჯითებული სიტყვა-კი რომ მოვისმინე, ჩემ თავად გავიფიქრე: ვინ იცის, იქნება მართალსაც ამბობდეს-მეთქი!“

— გამოჩენილი ამერიკელი ედისონი ამ ჟამად პარიჟში იმყოფება და რეინის ოტელშია ჩამომხდარი. ამას წინად „Temps“-ის ერთს თანამშრომელს ულაპარაკნია ედისონთან რამდენსამე წუთს. ჰლაპარაკობდნენ თურმე ინგლისურს ენაზედ, რადგან ედისონმა ფრანგული არ იცის და აქამდე ჯერ ისეთი მანქანაც არა გამოუგონია-რა, რომ ეს ნაკლი შეივსოს. ამ ლაპარაკს აძნელებდა ის გარემოებაც, რომ ედისონი მოიყრუებს, ასე რომ ბევრი ვერაფერ ესმის, რაც უნდა ხმა-მაღლა იყოს ნათქვამი. ყრუთა ჩვეულებისამებრ ედისონი იმასა ჰრჩეობს, რომ ტუჩების ცმაცუნზედ შეიტყოს ნათქვამის აზრი. ედისონი 40 წლის კაცია, შუა-ტანისა, არც გამხდარი და არც მსუქანი. გძელი ჭაღარა თმები უკანა აქვს გადავარცხნილი. პირს იპარსავს და საოცარი ცოცხალი, შორს-მჭვრეტელი და მხიარული თვალები აქვს. ზედვე ეტყობა, რომ მუშა-კაცია, სადა. აი რა უთქვამს ამ გამოჩენილს კაცს სხვათა შორის კორრესპონდენტისთვის: „ძალიანაც არ მესიამოვნება, სწორედ გითხრათ, ის ამბავი, რომ ყველგან დიდ ს ამბითა და დიდებით მიხვდებიან. მე საზოგადოებისათვის არა ვარ დაბადებული და ხალხში ყოფნა, სიამოვნება და თავის მოწონება არ მიყვარს. ევროპაში ჩემის ახალგაზდა ცოლითურთ მოვედი იმ განზრახვით, რომ რაც შეიძლება ჩქარა დავათვალიერო ევროპის საკვირველებანი, მსოფლიო გამოფენის ნახვით ვისიამოვნო, ვნახო პარიჟი, ლონდონი, ფლორენცია და ნეაპოლი. ამას გარეშე სხვასთან არაფერთან დავა არა მაქვს. სულაც არა ვარ იმის მონატრული, რომ აქაურ მეცნიერებს წარმადგინონ, იმ მეცნიერებს, რომლებისათვისაც ჩემი ნახვა ძალიან საჭიროც არ არის“.

— გერმანიაში ამას წინად აღმოუჩენიათ წიგნი მე-XVII საუკუნისა, თითქმის ერთადერთი ეგზემპლიარი ამ გვარის წიგნისა. წიგნს სათაურად აწერია: „სრული სახელმძღვანელო ჩხუბისა“ და შიგ მოქცეულია თურმე სხვა-და-სხვა დარიგება ჩხუბისა, ჭიდაობისა და სხ. შიგვე ჩართულია რამდენიმე სურათი. აი ერთი ადგილი ამ წიგნიდგან: „თუ მოწინააღმდეგემ ხელები მხრებში წაგავლოს, შენც შიგნიდგან წაავლე მხრებშივე და უეცრად სილა სტკიცე. ის რომ მარჯვენა ხელითა გცემდეს, შენ მარცხენათი აცდინე ეს ცემა, ეგერე და მარჯვენა ხელის იდაყვი ან სახეში ჰკარი, ან ნეკნებს ქვემოდ. თუ შენთან მოჩხუბარი ღონიერია, მაშინ მარჯვენა ხელის თითები სწრაფად შეუყავ პირში და ლაშები გაუხიეო“.

— პარიჟის შუაგულში, დიდის ოპერის უკან, ერთი ჩაის მაღაზია გაუმართავთ, რომელშიაც მოვაჭრენი სულ კეთილშობილის შთამომავლობისანი არიან თურმე, პატრონიდგან დაწყებული უკანასკნელ ნოქარამდე. პატრონი აფიცრად ნამყოფია და ჰერცოგის ხარისხს ატარებს; პირველი ნოქარი პრინცია, იმის მამა გენერალი ყოფილა; მეორე ნოქარი გრაფია; მესამე — ახალგაზდა მარკიზია და დიდის ხელოვნებით ახვევს თურმე ქაღალდში გაყიდულს ჩაის; აქეთ-იქით გასაგზავნი ბიჭი-კი ბარონის შვილია. ამ მაღაზიაში საუცხოვო ვაჭრობაა თურმე.

## დეპეშა

13 აგვისტო

ნეჟნი-ნოვგოროდი. ვოლგამ ძალიან დაიკლო და ამიტომ საქონელი ვერ ჩამოიტანეს. რკინეულობის ფასი ჯერ არ გამორკვეულა. თუჯი და ტულის სპილენძეულობა ძალიან სუსტად იყიდება, მარილი ჩამოუტანიათ 5.200,000 ფუთამდე. 12 ფუთი იყიდება 2 მან. 30 კ.—2 მან. და 50 კაპ. შაქარი ნაკლებად იყიდება. სპარსული ხალიჩები შარშანდელ ფასად იყიდება. ყიზლიარის ღვინო ჩამოუტანიათ 280 ათასი „ვედრო“ და გაუყიდნიათ 220 ათასი. თითო ვედრო იყიდებოდა 2 მან. 30 კაპ.—2 მან. და 50 კაპ.

პეტერბურგი. წევრს სახელმწიფო საბჭოსას, გენერალ-ლეიტენანტს კაუფმანს, ებოძა უმაღლესი რესკრიპტი და ორდენი წმ. ვლადიმერისა, პირველის ხარისხისა, ორმოც-და-ათის წლის სამსახურისათვის. კიევის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალი რადეცკი, დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. გვარდიის კორპუსის უფროსი პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა გადადგა ამ თანამდებობიდგან და იმის მაგიერ დაინიშნა გენერალი მანზეი, გრენადერის კორპუსის უფროსი.

ის ამბავი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი იგნატიევი ინიშნება კიევის გენერალ-გუბერნატორადაო, ნამდვილია.

მიუნსტერი. ხალხის წარმომადგენელთ წვეულება გამართეს და ამ წვეულებაზედ იმპერატორმა ვესტფალიის პროვინციის სადღეგრძელო მიირთვა. იმპერატორმა სთქვა, რომ იმედი მაქვს ვესტფალელების ხმალი მუდამ ბასრი იქნებაო.

ათინა. დღეს ნამდვილად გამოცხადებულია, რომ სოსპელაიონის მახლობლად კრიტელებს ბრძოლა ჰქონიათ ოსმალეთის ჯართან. დაწვრილებით არა იციან-რა.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მარიამობ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 62 |
| ტამოჟნის კუპონები | 152 1/2 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 263 | — „ | — „ |
| მეორისა | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 97 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 97 3/4 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | 83 1/2 |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კრიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვიაზე გემები.

## განცხადებანი

დაიბეჭდა გორში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

მიბაძვა ქრისტესი,

თხზ. თომა კემპელისა

ნაწილი პირველი და მეორე.

ფასი წიგნისა ყდითა და სურათებით 70 კაპ., უყდოდ და უსურათებოდ 40 კაპ. (5—5)

---

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

---

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წლიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში — ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—5)

---

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაცნობებ, რომ ამა მდგომარე 1889 წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და-თექვსმეტი ვაკანსიაა თავისუფალი. მეორეში, მესამეში და მეოთხეში მხოლოდ სამ-სამი, ოთხ-ოთხი შემთხვევითი ვაკანსია იქნება მოსალოდნელი. ვისაც ყმაწვილის მიბარება სურს ხსენებულს სასწავლებელში, თხოვნა სკოლის ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს 20 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდე და თან წარმოადგინოს შემდგი: წლოვანების მოწმობა, მოწმობავე თავად-აზნაურობისა, ანუ ქუთაისის სააზნაურო ბანკისა გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობელნი ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურთაგანნიარიან. ქუთაისის გუბერნიის ყოველ მაზრის თავად-აზნაურთ უფლება აქვთ სენაკის სასწავლებელში ყმაწვილთა მობარებისა. სახელ-მეორო ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდგან და გაგრძელდება 29-მდე, სწავლა-კი 1 სექტემბერს დაიწყება.

სკოლის ინსპექტორი ს. ყიფიანი

(5—2)

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა | „ | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახიშვილისა | „ | 40 |
| ღედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა | „ | 15 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებან ი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| თამარიანი, გუგუნავასი | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი | 3 | „ |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე | 3 | 60 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ | „ | 5 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა | „ | 10 |

---

## რძის ფქვილი ნესტლესი ქილის 1 მ. 15 კ.

ძუძუ მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად




უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწოვა.

მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ქილის 85 კაპ.

ისყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის საიფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი ს. პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ეგორიევის სა- ხლებში ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად-ერთი აგენტი მთელის რუსეთისა *Александръ Венцель*

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის-გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).

(12—5)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

## ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ საღმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ საღმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

---

მის. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—27)

---

## ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

---

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი — თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა, — ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა, — სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც პსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 13-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე